სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება №ნას/05/05/22

ქ. თბილისი 6 მაისი, 2022 წელი

ერთის მხრივ, შპს "საქაერონავიგაცია" (შემდგომში, შემსყიდველი) წარმოდგენილი გენერალური დირექტორის, გოჩა მეზვრიშვილის სახით და მეორეს მხრივ, შპს „ეკოპლასტიკი" (შემდგომში, მიმწოდებელი) წარმოდგენილი დირექტორის ხათუნა ბუჩუკურის სახით, ელექტრონული ტენდერის (NAT220006709) ჩატარების შედეგად ვდებთ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების ობიექტი

1.1. ხელშეკრულების ობიექტს წარმოადგენს სანტექნიკური მოწყობილობების შესყიდვა. ხელშეკრულების ობიექტის დეტალური ჩამონათვალი, ძირითადი ტექნიკური მახასიათებლები, რაოდენობა, ერთეულის და საერთო ღირებულება მოცემულია დანართ №1-ში (ფასების ცხრილი), რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

1.2. შესყიდვის ობიექტის კლასიფიკატორის კოდი: 44411000, 44411100, 44411400, 44411750.

1.3. რესურსის მოთხოვნის განაცხადი: №107-22.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 8122.75 ლარს.

2.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის მიერ ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს (გარდა დღგ).

3. მიწოდების წესი და ინსპექტირება

3.1. მიმწოდებელმა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება უნდა უზრუნველყოს ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში. დასაშვებია ეტაპობრივი მიწოდება. მიწოდების ადგილი: ქ. თბილისი, აეროპორტი, შპს „საქაერონავიგაცია".

3.2. მიმწოდებელი პასუხს აგებს მიწოდებული საქონლის ხარისხზე, ხოლო შემსყიდველი უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი საქონლის მიწოდების მომენტში. ხელშეკრულების პირობების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს ოლეგი გოგნაძე (ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი). აღნიშნულ პირს ენიჭება შემსყიდველის სახელით მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ზე ხელმოწერის უფლებამოსილება.

3.3. საქონლის მიწოდება დასტურდება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტით.

4 მხარეთა უფლება-მოვალეობანი

4.1 „მიმწოდებელი" იღებს ვალდებულებას:

4.1.1. უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდება ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

4.1.2. საკუთარი სახსრებით გამოასწოროს ყველა დეფექტი, აღმოჩენილი საქონლის მიწოდების დროს.

4.1.3. გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი.

4.2 „მიმწოდებელი" უფლებამოსილია:

4.2.1. მოითხოვოს ფაქტობრივად მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

4.3. „შემსყიდველი" იღებს ვალდებულებას:

4.3.1. აუნაზღაუროს მიმწოდებელს მიწოდებული საქონლის ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით.

4.4 შემსყიდველი უფლებამოსილია:

4.4.1. განახორციელოს კონტროლი საქონლის ხარისხზე საქონლის მიწოდებისას.
4.4.2. განახორციელოს კონტროლი ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე.
4.4.3. განაცხადოს უარი საქონლის მიღებაზე მიწოდების ვადების დარღვევის შემთხვევაში, ასევე თუ მიწოდებული საქონელი არ შეესაბამება ხელშეკრულებით განსაზღვრულ ტექნიკურ მახასიათებლებს.

5. ანგარიშსწორებისა და მიღება-ჩაბარების წესი
5.1. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს მიწოდებული საქონლის ღირებულება ეტაპობრივად, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და სასაქონლო ზედნადების წარმოდგენიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში.
5.2. ანგარიშსწორების ვალუტა – ლარი.
5.3. გადახდის ფორმა: უნაღდო.

6. მხარეთა პასუხისმგებლობა
6.1. ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში სახელშეკრულებო ვალდებულების შეუსრულებლობისათვის შემსყიდველი უფლებამოსილია დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით ყოველი ვადაგადაცილებული დღისთვის.
6.2. ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში ხელშეკრულების ღირებულების გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო გადასახდელი თანხის 0.1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებული დღისთვის.
6.3. მხარეებს ყოველთვის აქვთ უფლება მოითხოვონ ხელშეკრულების შეუსრულებლობით ან/და არაჯეროვანი შესრულებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7. ფორს-მაჟორი
7.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.
7.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით და სხვა.
7.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

8. დავების გადაწყვეტა
8.1. მხარეთა შორის სადაო საკითხები წყდება მხარეთა მოლაპარაკების გზით. 30 დღის განმავლობაში შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში საკითხი განიხილება სასამართლოში, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9. სხვა პირობები

9.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2022 წლის 31 ივლისამდე.

9.2. ხელშეკრულებაში დამატებებების და/ან ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

9.3. ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებ(ებ)ის შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის. ხელშეკრულების პირობების შეცვლა დასაშვებია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით განსაზღვრულ შემთხვევებში.

9.4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

9.5. ორივე მხარე უფლებამოსილია მოშალოს ეს ხელშეკრულება ცალმხრივად, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას ან მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში, რაზედაც მხარემ უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს 3 დღით ადრე.

მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შპს „საქაერონავიგაცია“
მისამართი: ქ. თბილისი, აეროპორტი 0198
საბანკო რეკვიზიტები: სს „თიბისი ბანკი“
ბანკის კოდი: TBCBGE22
ა/ა GE19TB7188636070100001
ს/კოდი 208144051

გენერალური დირექტორი
გოჩა მეზვრიშვილი

Gocha Mezvrishvili

Digitally signed by Gocha Mezvrishvili
Date: 2022.05.06 12:06:42 +04'00'

შპს „ეკოპლასტიკი“
მისამართი: ქ. თბილისი, ღრმაღელის 88ბ
საბანკო რეკვიზიტები: „საქართველოს ბანკი“
ბანკის კოდი: BAGAGE22
ა/ა GE39BG0000000527141661
ს/კოდი 400321692

დირექტორი
ხათუნა ბუჩუკური

დანართი #1

ფასების ცხრილი

N	საქონლის დასახელება	ძირითადი ტექნიკური მახასიათებლები	ერთეულის ღირებულება,ლარი (დღგ-ს გარეშე)	რაოდენობა	ერთეულის ფასი	მთლიანი ღირებულება ლარი (დღგ-ს გარეშე)
1	წყლის შემრევი ონკანი სამზარეულოსთვის	თითბერის შემრევი, წყლის ქვედა მიწოდებით, კარტრიჯის ტიპის, მოძრავი ცხვირით, ქრომირებული. ონკანის წონა არანაკლებ 1200 გრ.	ცალი	5	55	275
2	ხელსაბანის წყლის შემრევი ონკანი	თითბერის (ლატუნის)შემრევი, წყლის ქვედა მიწოდებით, კარტრიჯის ტიპის, ფიქსირებული ცხვირით ნიკელირებული სიმაღლე–14სმ,10–სმ ცხვირით. წონა არანაკლებ 900 გ.	ცალი	30	48	1440
3	წყლის დრეკადი მილი	დრეკადი მილი ლითონის ბადით 45სმ. ორივე მხარე 1/2 დიუმის შიდახრახნის ფიტინგებით და რეზინის სადებებით	ცალი	40	3	120
4	წყლის დრეკადი მილი	დრეკადი მილი ლითონის ბადით 60სმ. ორივე მხარე 1/2 დიუმის შიდახრახნის ფიტინგებით და რეზინის სადებებით	ცალი	40	3.5	140
5	სამკაფა პლასტმასის	20მმ პლასტმასის წყლის მილის გამანაწილებელი	ცალი	25	0.35	8.75
6	კუთხოვანა პლასტმასის 90 –ნი	20მმ პლასტმასის წყლის მილის კუთხოვანა	ცალი	50	0.25	12.5
7	პლასტმასის მილების შემაერთებელი მუფტა	20მმ პლასტმასის მილის შემაერთებელი (მუფტა)	ცალი	50	0.25	12.5
9	უნიტაზის ავზის წყლის მიწოდების მექანიკური ჩამკეტი ონკანი	უნიტაზის წყლის მიწოდების ონკანი. წლის მიწოდება ქვემოდან 1/2 დიუმის გარეხრახნით	ცალი	30	6	180
10	პლასტმასის მილის თბოიზოლაცია	20მმ პლასტმასის მილის კაუჩუკის თბოიზოლაცია. შავი ფერის სისქე არანაკლებ 10მმ	ცალი	20	4.5	90
11	პლასტმასის მილის თბოიზოლაცია	25მმ პლასტმასის მილის კაუჩუკის თბოიზოლაცია. შავი ფერის სისქე არანაკლებ 10მმ	ცალი	20	5.5	110
12	უნიტაზის წყლის მიწოდება–ჩარეცხვის მექანიზმი (კომპლექტი)	უნიტაზის წყლის მიწოდება–ჩაკეტვის ონკანი და ჩარეცხვის მექანიზმის კომპლექტი, წლის მიწოდება ქვემოდან 1/2 დიუმის გარეხრახნით	ცალი	10	16	160
13	თუჯის ონკანი (ურდული) " ბატერფლაი "	წყლის თუჯის ურდული; ტიპი - DN-200;BODY-EN-GJL-250;PN16.	ცალი	2	400	800
14	სანტექნიკური საიზოლაციო ლენტა	ხრახნისებურ შესაერთებლებზე დასახვევი საიზოლაციო ლენტა (პაკლი) თეთრი ფერის 10მმ ,სიგრძე 20მ	ცალი	20	2.2	44
15	ხელსაბანის ონკანზე წყლის მიწოდების დრეკადი მილი	დრეკადი მეტალის მილი (გოფრირებული) 60 სმ. ზედა გარეხრახნა M10, ქვედა 1/2 დიუმის შიდახრახნით ფიტინგებით	ცალი	40	3.5	140
16	სანტექნიკური სითხე ხრახნიანი შეერთებების გერმეტიზაციისთვის	ერთკომპონენტიანი ანაერონობული გერმეტიკი ხრახნების ფიქსაციისთვის, საშუალო სიმყარის. მასალა - ტიოკოლი; უფერო; 50მგ	ცალი	15	20	300
17	პლასტმასის წყლის ავზი თავსახურით და დამატებითი კომპლექტით	250-300 ლიტრის წყლის ავზი, წყლის სისტემასთან შემაერთებელი 3/4 ან 1/2 დიუმის თითბერის ონკანით, რომლის ჩამკეტი მექანიზმი უნდა იყოს ტივტივათი. აუცილებლად უნდა ჰქონდეს დამცლელი გასასვლელი ხრხნიანი თითბერის მეტალის ონკანი , არანაკლებ 40 მმ ზომის	ცალი	1	350	350
18	საიზოლაციო ფოლგიანი წებოვანი ლენტა	წებოვანი ფოლგა თბოიზოლაციის ფიქსირებისთვის და სხვა სანტექნიკური სამუშაოებისთვის. ერთი რულონის წონა არანაკლებ 0.5 კგ	ცალი	20	26	520

19	თბოიზოლაციის მასალა	თბოიზოლაციის მასალა ფოლგით, სისქე არანაკლებ 1სმ.	ცალი	10	28	280
20	საშხაფის ქვესადგამის კომპლექტი	საშხაპის ქვესადგამის მასალა - აკრილი, ზომები 90 -120სმ .წინა ფასადი სასურველია ოვალური. შხაფის კაბინა გამჭირვალე შუშებით ან ორგმინით, რომელიც მონტაჟდება ქვესადგამზე. შხაპის კაბინას აუცილებლად უნდა ჰქონდეს ორი მოძრავი კარები.	ცალი	1	1700	1700
21	თუჯის ონკანი (ურდული წრიული სახელურით)	წყლის თუჯის ურდული ; ტიპი - DN-100;PN16.	ცალი	4	250	1000
22	თუჯის ონკანი (ურდული) " ბატერფლაი "	წყლის თუჯის ურდული, სიგრძე; ტიპი - DN-80;PN10.	ცალი	4	110	440

სულ: 8122.75